

იშვიათი დაავადებების ადვოკატირების და საინფორმაციო კამპანიების
როლი მათი ჯანდაცვის სამკურნალო პროგრამის ამოქმედების მიზნით
საქართველოში

მაგისტრანტი
ელენე თაყაიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე თაყაიშვილი

03.07.2022

ე. თაყაიშვილი

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია ადვოკატირებისა და საინფორმაციო კამპანიების როლი საქართველოში იშვიათი დაავადებების დაფინანსებასა და სამკურნალო პროგრამების ამოქმედებაში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისობრივი კვლევა, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუები თემის ექსპერტებთან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პროცესში ჩართულ პირებთან; კერძოდ: პაციენტები და პაციენტთა ორგანიზაციები, საქართველოში მოქმედი იშვიათი დაავადებების სამკურნალო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები, საქართველოს იშვიათი და გენეტიკური დაავადებების ფონდის წარმომადგენლები და სხვა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო იმის დადგენა, ახდენს თუ არა გავლენას საინფორმაციო და ადვოკატირების კამპანიების წარმოება იშვიათი დაავადებების დაფინანსებასა და მათ მკურნალობაზე. კვლევის შედეგად კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა და გამოიკვეთა საინტერესო მიგნებები, რომელიც საჭიროებს კვლევის გაგრძელებას. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ავტორისეული მიგნებები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: იშვიათი დაავადებები, ადვოკატირების კამპანიები, საინფორმაციო კამპანიები, მკურნალობის დაფინანსება.

Abstract

The subject of the following research is the role of advocacy and informational campaigns in funding of rare diseases and initiating treatment programs in Georgia. Qualitative research was conducted as part of the study, namely in-depth interviews with community experts, decision-makers and people involved in the process, namely: patients and patient organizations, representatives of the treatment program for rare diseases operating in Georgia, public relations specialists, representatives of the Foundation for Rare and Genetic Diseases of Georgia and others. The main objective of the study was to determine whether the production of information and advocacy campaigns affects the funding of rare diseases and their treatment. As a result of the research, the research hypothesis was confirmed and interesting findings were revealed, which require further research. Author's conclusions and recommendations are presented at the end of the paper.

Keywords: rare diseases, advocacy campaigns, information campaigns, treatment financing.